USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი,სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №38
ნოემბერი, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ზურაბ შელია

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

შესავალი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2019 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის - „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" - იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ამჟამად წარმოგიდგენთ №38 ბიულეტენს. მასში აღწერილია ნოემბერში განვითარებული ის მოვლენები, რომლებმაც გავლენა მოახდინა პოლიტიკურ გარემოზე.

1. შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან

მიმდინარე წლის ოქტომბერში საიამ გამართა ქსელური შეხვედრები პოლიტიკურ პარტიებთან რეგიონულ დონეზე.[1] შეხვედრები ჩატარდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური ციკლი 2019-2022 წლებში" ფარგლებში. ღონისძიების მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე პოლიტიკური გარემოს შეფასება, მათ შორის, ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებზე ზეწოლის ფაქტების შესწავლა. ქსელურ შეხვედრებს ესწრებოდნენ პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც ისაუბრეს ისეთ გამოწვევებზე, როგორებიცაა: ხელისუფლების მხრიდან კანონმდებლობის პარტიულ ინტერესებზე მორგება, პარტიებს შორის კონსენსუსის მიღწევის სირთულე, მერის ზერელე დამოკიდებულება საკრებულოს მიმართ, ოპოზიციური უმრავლესობის მქონე საკრებულოებისა და მერიის თანამშრომლობის შეუძლებლობა, ოპოზიციის ინიციატივებზე მხარდაჭერის არარსებობა, იმ მაჟორიტარული ოლქების პრობლემების გაუთვალისწინებლობა, რომლებსაც ოპოზიციონერები წარმოადგენენ.

2. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი აზრის კვლევა

7 ნოემბერს გამოქვეყნდა „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)" საზოგადოებრივი აზრის კვლევა,[2] რომელიც 2022 წლის 13 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე პერიოდში მოსახლეობაში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს ასახავდა.[3]

კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 25% საპარლამენტო არჩევნებზე ხმას „ქართულ ოცნებას" მისცემდა, 12% – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას", 3%-3% – გიორგი გახარიას პარტიას „საქართველოსთვის" და „გირჩი - მეტი თავისუფლებას", 2%-2% – „სტრატეგია აღმაშენებელს", „დროას", „ლეიბორისტულ პარტიას", „ხალხისთვის", „გირჩს" და „პატრიოტთა ალიანსს". 1%-1% – „ლელოს",

[1] პოლიტიკურ პარტიებთან ქსელური შეხვედრები გამართეს საიას რეგიონულმა ოფისებმა ბათუმში, ზუგდიდში, ოზურგეთში, დუშეთში, გორში, რუსთავსა და თელავში.

[2] „Public Opinion Survey Residents of Georgia", „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)" ვებგვერდი, 2022 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.iri.org/resources/public-opinion-survey-residents-of-georgia-september-2022/, განახლებულია: 19.12.2022; „IRI-ის კვლევა მოსახლეობის პესიმიზმს ასახავს", საინფორმაციო პორტალი „Civil.ge", 2022 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/514132, განახლებულია: 08.12.2022.

[3] იქვე.

„მოქალაქეებსა“ და „კონსერვატიულ მოძრაობას“.[4]

რესპონდენტების 62%-ის აზრით, საქართველო არასწორი მიმართულებით, ხოლო 30%-ის აზრით, სწორი მიმართულებით მიდის.[5] გამოკითხულთა 48%-ს მიაჩნია, რომ ქართული დემოკრატიისთვის მრავალპარტიული მმართველობაა სასარგებლო.[6] 72% ამბობს, რომ მომავალი არჩევნებისთვის ახალი პოლიტიკური პარტიების ხილვა სურს.[7] კვლევაში მონაწილეთა 42% აცხადებს, რომ მათ ინტერესებს არცერთი არსებული პარტია არ გამოხატავს.[8]

„საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის“ კვლევას პოლიტიკოსთა გამოხმაურება მოჰყვა.[9] მმართველი პარტიის წევრებმა კვლევის შედეგებს მანიპულაცია უწოდეს.[10] ოპოზიციის წარმომადგენლებმა ახალი ოპოზიციური პოლუსების შექმნის საჭიროებაზე გაამახვილეს ყურადღება.[11]

3. პარლამენტში ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები

ნოემბერში ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესრულების მიზნით რამდენიმე საკითხზე გაგრძელდა მუშაობა. საქართველოს პარლამენტმა 2 ნოემბერს 88 ხმით მხარი დაუჭირა პარლამენტის რეგლამენტის პროექტს[12] „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“,[13] რომელიც საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაზრდას ითვალისწინებს.[14] **საიამ დადებითად შეაფასა საკანონმდებლო ცვლილებებით საპარლამენტო კონტროლის ზოგიერთი მექანიზმის გაუმჯობესება.[15] ამასთანავე, ორგანიზაციამ მოუწოდა პარლამენტს და პროფილურ კომიტეტებს, იმსჯელონ საფინანსო და უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობის მექანიზმების დახვეწაზეც.[16]**

2 ნოემბერს პარლამენტმა 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში შემუშავებული სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების თაობაზე კანონპროექტი „სპეციალური საგამოძიებო სამსახურის შესახებ“ 83 ხმით, პირველი მოსმენით მიიღო.[17] ამავე რეკომენდაციის შესრულების მიზნით, 15 ნოემბერს - მეორე

---

[4] იქვე.
[5] იქვე.
[6] იქვე.
[7] იქვე.
[8] იქვე.
[9] იქვე.
[10] „IRI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს პოლიტიკოსები აფასებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 8 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/514215, განახლებულია: 08.12.2022
[11] იქვე.
[12] „პარლამენტმა რეგლამენტში ცვლილებებს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაზრდასთან დაკავშირებით მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FEBr6X, განახლებულია: 09.12.2022.
[13] „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ”, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/24684, განახლებულია: 09.12.2022.
[14] „პარლამენტმა რეგლამენტში ცვლილებებს საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაზრდასთან დაკავშირებით მესამე მოსმენით დაუჭირა მხარი“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი.
[15] „საიას განცხადება საპარლამენტო კონტროლის მექანიზმების გაძლიერების თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 30 სექტემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iRuB57, განახლებულია: 09.12.2022.
[16] იქვე.
[17] „პარლამენტმა სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შემდგომი ინსტიტუციური გაძლიერების საკითხზე მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტს პირველი მოსმენით დაუჭირა მხარი“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3W1qYI3, განახლებულია: 09.12.2022.

მოსმენით,[18] 30 ნოემბერს კი - მესამე მოსმენით,[19] მხარი დაუჭირეს „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“[20] კანონში შესატან ცვლილებებს, თანმდევ კანონპროექტებთან ერთად.[21] ცვლილებების თანახმად, შეიქმნება საჯარო სამართლის იურიდიული პირი – „ანტიკორუფციული ბიურო“,[22] რომელიც „თავის საქმიანობას დამოუკიდებლად [გან]ახორციელებს“ და მისი ამოცანა თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა იქნება.[23] ინიციატივა გააკრიტიკა არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“[24] და თქვა, რომ კანონპროექტი არ პასუხობს ევროკომისიის მიერ გაცემულ მე-4 რეკომენდაციას.[25]

4 ნოემბერს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მინიჭების საკითხთან დაკავშირებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების პაკეტის პარლამენტისთვის საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენას მხარი დაუჭირა.[26] 22 ნოემბერს ეს პაკეტი პარლამენტმა ევროპულ კომისიას სამართლის მეშვეობით დემოკრატიის დასაცავად (ვენეციის კომისია) და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისს ერთობლივი სამართლებრივი მოსაზრებისთვის გაუგზავნა.[27] **საიამ ინიცირებული ცვლილებები გააკრიტიკა.[28] ორგანიზაციის მოსაზრებით, კანონპროექტი არ შეესაბამება ევროკომისიის, სხვა საერთაშორისო პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციებს. შემოთავაზებული ცვლილებები ფრაგმენტული ხასიათისაა და არ ემსახურება მართლმსაჯულების სისტემის გაჯანსაღებას.[29]**

3 ნოემბერს პარლამენტმა „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონპროექტი პირველი მოსმენით,[30] 15 ნოემბერს კი მეორე მოსმენით მიიღო.[31] ოპოზიციამ კანონპროექტი გააკრიტიკა. „ერთიანი ნაცი-

---

[18] „პარლამენტმა ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების საკითხზე მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მეორე მოსმენით განიხილა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iQFDYf, განახლებულია: 09.12.2022.

[19] „პარლამენტმა „ანტიკორუფციული ბიუროს“ შექმნისთვის საჭირო ცვლილებები დაამტკიცა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/516533, განახლებულია: 08.12.2022.

[20] „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/24960, განახლებულია: 09.12.2022.

[21] „პარლამენტმა ანტიკორუფციული საქმიანობის ინსტიტუციური გაძლიერების საკითხზე მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მესამე მოსმენით განიხილა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 30 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hBK9cN, განახლებულია: 09.12.2022.

[22] იქვე.

[23] იქვე.

[24] „TI საქართველო“: „ანტიკორუფციული ბიუროს“ შექმნის კანონპროექტი არ პასუხობს ევროკომისიის რეკომენდაციას“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 1-ლი ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/513370, განახლებულია: 09.12.2022.

[25] იქვე.

[26] „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანულ კანონში შესატანი ცვლილებების ინიცირებას მხარი დაუჭირა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 4 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iERJ6A, განახლებულია: 09.12.2022.

[27] „პარლამენტმა ვენეციის კომისიასა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისში ერთობლივი სამართლებრივი მოსაზრებისთვის მართლმსაჯულების რეფორმის ფარგლებში მომზადებული კანონპროექტები გააგზავნა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3W3g4Br, განახლებულია: 09.12.2022.

[28] „საიას მოსაზრება კანონპროექტზე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, 2022 წლის 18 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3W1KDaL, განახლებულია: 09.12.2022.

[29] იქვე.

[30] „პარლამენტმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი პირველი მოსმენით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3YmKil9, განახლებულია: 09.12.2022.

[31] „პარლამენტმა დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონპროექტი მეორე მოსმენით მიიღო“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 15 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3FDNKjG, განახლებულია: 09.12.2022.

ონალური მოძრაობის“ წევრის, ლევან ბეჟაშვილის თქმით, მომზადებული ვერსია არ ითვალისწინებდა ქართულ რეალობას და არის უკრაინულის ანალოგი.[32] ევროკავშირის წარმომადგენლობამ ხელისუფლებას „დეოლიგარქიზაციის“ კანონპროექტის ვენეციის კომისიისთვის გაგზავნისკენ მოუწოდა.[33] ეს ინიციატივა საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმაც მოიწონა.[34] 28 ნოემბერს ხელისუფლებამ ვენეციის კომისიისთვის კანონპროექტის გაგზავნის თაობაზე განცხადება გააკეთა.[35]

4. ნიკა გვარამიას საქმე

2 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა.[36] უცვლელი დარჩა გამოყენებული პატიმრობის ვადაც.[37] დაცვის მხარის განმარტებით, სასამართლოს გადაწყვეტილება თავისუფლებას ართმევს არა მხოლოდ ნიკა გვარამიას, არამედ ქვეყანას და ხელს უშლის მას ევროპული ინტეგრაციის გზაზე.[38] „ქართული ოცნების“ წევრებმა სასამართლო გადაწყვეტილება კანონიერად და სამართლიანად მიიჩნიეს, ოპოზიციის განცხადებებს კი სპეკულაციები უწოდეს.[39] ოპოზიციის წარმომადგენლებმა ნიკა გვარამიას საქმე პოლიტიკურ დევნად, ხოლო ეს პროცესი ევროინტეგრაციის ხელშეშლად შეაფასეს.[40] საქმესთან დაკავშირებით შეშფოთება გამოთქვა არასამთავრობო სექტორმა[41] და ომბუდსმენის აპარატმაც.[42] გადაწყვეტილებას გამოეხმაურა საქართველოში აშშ-ის ელჩიც.[43]

---

[32] „ლევან ბეჟაშვილი - „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ ქართული კანონი ქართულ რეალობას უნდა შეესაბამებოდეს - ბუნებრივია, ოპოზიცია ფასადურ კანონს მხარს ვერ დაუჭერს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: http://bit.ly/3tB89Pu, განახლებულია: 09.12.2022.

[33] „ევროკავშირის წარმომადგენლობა „დეოლიგარქიზაციის“ კანონპროექტზე ვენეციის კომისიის მოსაზრებას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 21 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/515847, განახლებულია: 08.12.2022.

[34] „კელი დეგნანი: „კარგი რჩევაა“ დეოლიგარქიზაციის კანონპროექტის ვენეციის კომისიისთვის გაგზავნა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 22 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/515956, განახლებულია: 08.12.2022.

[35] „ქართული ოცნება „დეოლიგარქიზაციაზე“ კანონპროექტს ვენეციის კომისიას გაუგზავნის“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 29 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/516859, განახლებულია: 08.12.2022.

[36] „სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა,“ საინფორმაციო პორტალი „Civil.ge”, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/513436, განახლებულია: 08.12.2022.

[37] იქვე.

[38] იქვე.

[39] „ქართული ოცნება და ოპოზიცია ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვებას ეხმიანებიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/513503, განახლებულია: 08.12.2022.

[40] იქვე.

[41] „არასამთავრობოები და მედია მიმართავენ შარლ მიშელს პრეზიდენტთან გვარამიას შეწყალებაში უშუამდგომლოს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 7 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/514003, განახლებულია: 08.12.2022.

[42] „ომბუდსმენი შეშფოთებას გამოხატავს ნიკა გვარამიას პატიმრობაში დატოვების გამო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/513596, განახლებულია: 08.12.2022.

[43] „აშშ-ის საელჩო: გვარამიას პატიმრობა რისკის ქვეშ აყენებს ევროპულ მომავალს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 2 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32112115.html, განახლებულია: 08.12.2022.

5. მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა

25 ნოემბერს ცენტრ „ემპათიის“ დირექტორმა მარიამ ჯიშკარიანმა განაცხადა, რომ პატიმრობაში მყოფი მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.[44]

13 არასამთავრობო ორგანიზაცია მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ერთობლივი განცხადებით გამოეხმაურა.[45] არასამთავრობო ორგანიზაციებმა ხელისუფლებას მოუწოდეს, რომ სააკაშვილის მკურნალობის, მათ შორის, საზღვარგარეთ გადაყვანის საჭიროების საკითხზე მსჯელობისას არა პოლიტიკური კონიუნქტურის, არამედ ექსპერტთა რეკომენდაციებით იხელმძღვანელონ.[46] საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის განცხადებით, ის ყოველდღიურად და ყურადღებით აკვირდება პატიმრობაში მყოფი მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებს.[47] მისი განმარტებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები რეგულარულად ესწრებიან ყოფილი პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონიტორინგის მიზნით შექმნილ კონსილიუმებს.[48]

6. რიგგარეშე არჩევნები

25 ნოემბერს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ნემსაძემ თანამდებობა დატოვა.[49] ნემსაძის განცხადებით, მისი გადადგომა არ უკავშირდებოდა პოლიტიკურ უთანხმოებას და სხვა პოზიციაზე გადაყვანის შეთავაზებით იყო განპირობებული.[50] საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, თუ მერს უფლებამოსილება შეუწყდა 15 ივნისიდან 15 იანვრამდე პერიოდში, რიგგარეშე არჩევნები იმართება უახლოეს აპრილში.[51] შესაბამისად, ცაგერში მერის რიგგარეშე არჩევნები 2023 წლის აპრილში ჩატარდება. ამავე პერიოდს ემთხვევა თერჯოლის მერის რიგგარეშე არჩევნებიც. თერჯოლის მერი 9 ოქტომბერს ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაიღუპა.[52] 2023 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები ფოთის, ხობისა და სენაკის მაჟორიტარულ ოლქშიც ჩატარდება. მისი გამართვის საფუძველი პარლამენტის წევრ ირაკლი ხახუბიას გარდაცვალება გახდა.[53]

---

[44] „ჯიშკარიანი სააკაშვილზე: შესაძლებელია ადამიანის გარდაცვალება ნებისმიერ მომენტში“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32148265.html, განახლებულია: 08.12.2022.

[45] „არასამთავრობოები მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობას ეხმიანებიან“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 26 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/516533, განახლებულია: 08.12.2022.

[46] იქვე.

[47] „პრეზიდენტი „ყურადღებით“ აკვირდება მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ცნობებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 24 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/516201, განახლებულია: 08.12.2022.

[48] იქვე.

[49] „ცაგერის მუნიციპალიტეტის მერი გადადგა“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 25 ნოემბერი, ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/516435, განახლებულია: 21.12.2022.

[50] იქვე.

[51] საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 169^2

[52] „გარდაიცვალა თერჯოლის მერი ლაშა გოგიაშვილი“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 9 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32071866.html, განახლებულია: 21.12.2022.

[53] „დეპუტატი ირაკლი ხახუბია საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 27 ოქტომბერი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Yxappk, განახლებულია: 21.12.2022.